თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

MEGA CREDIT
ფულადი გზავნილები
ქუთაისი, რუსთაველის 141. (0 431) 27 52 45; ჭავჭავაძის 55/2. (0 431) 27 67 10

№13 (701) 28 აპრილი - 4 მაისი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ვინ როგორი სიებით და პროგრამით იბრძოლებს ქუთაისში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე?

რა დარღვევები და ხარვეზები ფიქსირდება წინასაარჩევნოდ?

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ზუსტად 49 დღეა დარჩენილი. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ადგილობრივ მთავრობებს 15 ივნისს აირჩევენ.
ქუთაისში წინასაარჩევნო გარემო ნელ-ნელა იკრებს ძალებს. ქალაქში არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა, შეფარვით თუ ღიად, უკვე დაიწყეს საარჩევნო მარათონი, თუმცა ამ დროისთვის საარჩევნო გარემოს შეფასებასა და სამომავლო გეგმებზე საუბარი უჭირთ.
არჩევნებიდან გამომდინარე, საარჩევნო პროგრამა და პრიორიტეტები თითქმის იდენტურია: ინფრასტრუქტურული პროექტები, სოციალური საკითხები, ჯანდაცვა და განათლება — ეს იმ პრიორიტეტების არასრული ჩამონათვალია, რომელთა მოგვარებასაც ჰპირდებიან ქუთაისელებს და რომელთა უხვი დარიგებითაც აპირებენ ქუთაისელთა ხმების მოპოვებას.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

„გველეშაპი ქვია თუ კობრა, სამუშაოები ვერა და ვერ დაასრულა“

უყურადღებოდ მიტოვებული ქუთაისელები შველას ითხოვენ

იხილეთ მე-5 გვერდზე

აფხაზეთის ომში დაღუპული პატარა ბიჭის დიდი გმირობის ისტორია

იხილეთ მე-7 გვერდზე

„წიგნი ობიექტივიდან“ ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა ფოტოკონკურსს აცხადებს



იხილეთ მე-5 გვერდებზე

მსოფლიო რუსეთის ფერხთქვეშ, თუ პირიქით?

იხილეთ მე-3 გვერდზე

სკოლებმა ავტონომია დაკარგეს?

იხილეთ მე-2 გვერდზე

სიკეთის გაკვეთილები

როგორ შეასრულა სიტყვა მერის მოვალეობის შემსრულებელმა შოთა მურღულიამ

იხილეთ მე-3 გვერდზე

„კეთილი ნებით“ მილებული წყალი და კანალიზაციას მიერთებული ისტორიული წყარო

იხილეთ მე-4 გვერდზე

სკოლის დღიური

იხილეთ მე-6 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „ჰოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები
შენ გელოდება!
ქუთაისი, საიჯრო ცენტრი „ჰოპული“. წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge
ISSN 1987-7056

სკანვორდი — გვ. 7
კროსვორდი — გვ. 7

სკოლებმა ავტონომია დაკარგეს?

ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული პრეზენტაცია გაიმართა თემაზე: „ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის დეცენტრალიზაცია – სკოლების არჩევანი და ავტონომია".

განათლების სპეციალისტის თამარ მოსიაშვილის განცხადებით, სკოლებმა ბოლო პერიოდში ავტონომია დაკარგეს, მათ უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად, ცენტრალურ რგოლთან შეთანხმების გარეშე მიღება.

„2005 წელს კანონმა ზოგადი განათლების შესახებ სკოლებს ავტონომიის მაღალი ხარისხი მიანიჭა. კანონის მიღებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში, ზოგადი განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია მხარდაჭერილი იყო სახელმწიფოს მიერ. 2010 წლიდან კი საჯარო სკოლების ავტონომია მკვეთრად შეიზღუდა. კანონში შევიდა რიგი ცვლილებები, რომელმაც შეზღუდა სკოლების თვითმმართველობები და გააძლიერა მართვის ცენტრალიზებული ბერკეტები.

სახელმწიფოს მიერ დღეს დეკლარირებულია დეცენტრალიზაცია, როგორც ქვეყნის სტრატეგიული არჩევანი," — განაცხადა **თამარ მოსიაშვილმა**.

შეხვედრის მონაწილეები სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ მომზადებულ დეცენტრალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტსა და ჩატარებულ კვლევას გაეცნენ. კონფერენციის მონაწილეებს სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ გამოცემული პუბლიკაციები გადაეცათ.

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა 2012 წლის სექტემბერში დაიწყო პროექტის „მასწავლებლები ბავშვზე ორიენტირებული სკოლისათვის" – განხორციელება, რომელიც მხარდაჭერილია აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ.

ჟანა ჯანელიძე
psnews.ge

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

® — **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

ვინ როგორი სიებით და პროგრამით იბრძოლებს ქუთაისში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე?

რა დარღვევები და ხარვეზები ფიქსირდება წინასაარჩევნოდ?

პირველი გვერდიდან

რა გეგმები აქვთ საარჩევნოდ პოლიტიკურ პარტიებს, როგორია მათი სიები და რა ხარვეზებზე საუბრობენ — ამ დროისთვის გაზეთი „P.S." დაინტერესდა და შევეცდებით, არსებული წინასაარჩევნო გარემო წარმოგიდგინოთ.

„ქართული ოცნების" ქუთაისის ორგანიზაციის შტაბის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, კოტე ლომიძემ აღნიშნა, რომ ვიდრე პრემიერ-მინისტრი საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მერების კანდიდატებს არ დაასახელებს, მას საარჩევნო სიებზე საუბარი არ სურს. მისივე განცხადებით, ის ჯერ მოვალეობის შემსრულებელია და არაა გამორიცხული, მერობის კანდიდატმა შტაბის უფროსად ის საერთოდ არ განიხილოს.

ამ დროისთვის საარჩევნო სიებზე საუბარი უჭირთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ქუთაისის შტაბშიც. ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივნის, გია უკლებას განცხადებით, ქვეყანაში არსებული საარჩევნო გარემო კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან მათი პარტიის ლიდერებზე პოლიტიკური დევნა ხორციელდება: პარტიის გენერალური მდივანი დაპატიმრებულია, მიხეილ სააკაშვილი საქართველოში არ იმყოფება, ასევე არის პრობლემები სამართალდამცავთა ზეწოლის მხრივ. მიუხედავად ამისა, საარჩევნოდ მუშაობას დიდი გეგმებით აგრძელებენ.

„მიუხედავად არსებული პრობლემებისა ვთვლით, რომ ეს არჩევნები ჩვენთვის წარმატებული იქნება და გავაუმჯობესებთ იმ შედეგს, რაც საპრეზიდენტო არჩევნებზე გვქონდა. ვიბრძოლებთ პირველი ადგილისთვის. ჯერ სიებზე საუბარი ადრეა, დაველოდოთ მოვლენებს. ჩვენი მიზანია, საკრებულოში პროგრამა მაქსიმუმით მოვიდეთ. კანდიდატებს რაც შეეხება, მიმდინარეობს კონსულტაციები, ჯერ მზად არ ვართ, მალე იქნება საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია, სადაც გავახმაურებთ მერობის და ასევე მაჟორიტარობის კანდიდატთა ვინაობას," — განაცხადა **გია უკლებამ.**

უკლება არ გამორიცხავს, მერობის კანდიდატი უკვე გაჟღერებულ კანდიდატთაგან (გია თევდორაძე, ამირან ძოწენიძე და თემურ ცამციშვილი) ერთ-ერთი იყოს.

„გამორიცხული არაფერია, თუმცა გიდასტურებთ, რომ კანდიდატების რაოდენობა ბევრად მეტია და როგორც მერობის, ასევე მაჟორიტარობის კანდიდატები „ქართულ ოცნებაზე" ბევრად უკეთესები გვეყოლება".

რაც შეეხება კითხვას, ამჟამინდელი საკრებულოს „ნაციონალი" წევრები მოხვდებიან თუ არა კანდიდატთა სიაში, პასუხობს, რომ არა მომხრე საკრებულო ასაკის მიხედვით დაკომპლექტდეს და კანდიდატები წარსულის დამსახურებით შეირჩნენ, „ნაციონალების" მთავარი არგუმენტი კანდიდატების შერჩევისას იქნება: „ვინ არის დღეს უკეთესი?"

გია უკლება საარჩევნო სიებში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით მათი მისამართით გამოთქმულ ბრალდებასაც ეხმიანება. მისი თქმით, ეს განცხადება საღ აზრს არის მოკლებული, რადგან არარსებული მისამართები და არარსებული გვარები სიებში არასოდეს ყოფილა. ამასთან ერთად არგუმენტად მოჰყავს ის ფაქტი, რომ „ნაციონალური მოძრაობის" მიერ შედგენილი სიებით მოიგო „ქართულმა ოცნებამ" არჩევნები. მეორე არგუმენტით კი — დღეს იუსტიციის სამინისტროს მართავს „ქართული ოცნება" და საარჩევნო სიები მოდის საჯარო რეესტრიდან, ამიტომ თუკი არსებობდა ხარვეზები, მთავრობას შეეძლო, ორი წლის განმავლობაში გამოესწორებინა.

მიაჩნია, რომ „ქართული ოცნება" მათი მთავარი კონკურენტია, ვინაიდან ის მმართველ გუნდს წარმოადგენს. „ნაციონალური მოძრაობის" მთავარ ამოცანად სწორედ მმართველი გუნდის არჩევნების გზით დამარცხება რჩება.

უკლება ასევე ვერ გვპასუხობს, იქნება თუ არა ის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო სიაში.

„ნაციონალური მოძრაობის" მსგავსად, ქუთაისის საკრებულოში დიდი რაოდენობით მოსვლას გეგმავს გაერთიანებული არასაპარლამენტო ოპოზიციაც. ბლოკში შემავალი პარტია „თავისუფალი საქართველოს" იმერეთის ორგანიზაცია მთავარ „კოზირად" მთელი წლის განმავლობაში მათ აქტიურობას ასახელებს.

„სამწუხაროდ, საზოგადოება ინერტულად არის განწყობილი და არჩევნებზე დაბალი აქტიურობა იქნება, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს იმ ქუთაისელების, რომელთაც ამ ხნის მანძილზე არაერთი პრობლემა გავუჟღერეთ და მოვუგვარეთ, ჩვენ ვიყავით ერთადერთი პარტია, რომელიც აქტიურობდა," — აღნიშნავს **გოგი წულაია.**

წულაია ამ დროისთვის მთავარ დარღვევად საარჩევნო სიებს მიიჩნევს.

გოგი წულაია: „2004 წელს, როდესაც მიშა მოდიოდა, მას ეშინოდა შევარდნაძის რევანშის, ამიტომ სასწრაფოდ მოახდინა სიების გადახალისება და მაშინ ქუთაისის მასშტაბით 110 000 ამომრჩეველი დააფიქსირეს. არა მგონია, მის მერე ქუთაისელები გადარეულიყვნენ ბავშვების კეთებით და ამომრჩეველთა რაოდენობა გამხდარიყო 155 000, ეს არის გაბერილი სია და ახალმა ხელისუფლებამაც კი არ მოაწესრიგა ეს პრობლემა. არარსებული მისამართები და არარსებული ამომრჩევლები არიან, რითაც კვლავ „ნაციონალები"ისარგებლებენ, რადგან მათი აქტივისტები იყვნენ ამ უბნებზე რეგისტრირებულნი. ასევე გრძელდება „ნაციონალური მოძრაობის" მიერ აპრობირებული მეთოდის გაყალბება, როდესაც წინასაარჩევნოდ მმართველი გუნდის კოორდინატორები ბინებში და უბნებში დადიან, იწერენ პრობლემებს და მათ მოგვარებას ჰპირდებიან. კარგია, რომ ადამიანებს პრობლემებს უწყვეტენ, მაგრამ ეს არჩევნების დროს მოსყიდვის მიზნით არ უნდა ხდებოდეს და მერია თავად უნდა წყვეტდეს ასეთ საკითხებს პარტიის დავალების გარეშე. მერიიდან პასუხს ვითხოვთ, რამდენით გაიზარდა ხელშეკრულებით აყვანილ ადამიანთა სია, დარწმუნებული ვარ, კატასტროფულად დიდია ეს მაჩვენებელი, რაც კეთდება საარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისთვის".

გაერთიანებული არასაპარლამენტო ოპოზიციაში ეძებენ კანდიდატებს, რომლებიც არ არიან წინა ხელისუფლებასთან კავშირში, იქნებიან ღირსეულნი, წარმატებულნი და პროფესიონალები. როგორც წულაია ხუმრობს, ფაქტობრივად, დიმიტრი გელოვანებს ეძებენ. მიაჩნია, რომ ქუთაისში ბევრი ღირსეული ადამიანი ცხოვრობს, თუმცა ადამიანებს პოლიტიკაში მოსვლა აშინებთ.

ახლადშექმნილი არასაპარლამენტო ოპოზიციის ბლოკს ქუთაისის ათივე ოლქში ეყოლება კანდიდატი. ამ დრომდე მხოლოდ სამი ოლქის კანდიდატის ვინაობაა გარკვეული. ავტომშენებლის ოლქში თავად გოგი წულაია იყრის კენჭს, ავანგარდი-პასილოკის ოლქში — ზვიად წაქაძე, ქალაქმუზეუმში კი — პოეტი ლია გვენეტაძე.

წულაიას თავისი მოსაზრება აქვს მერობის კანდიდატთან დაკავშირებით: „არაა აუცილებელი, ქუთაისში დაბადებული იყოს, სულით უნდა იყოს ქუთაისელი და საქმის მკეთებელი. საკუთარი თავი კი არ უნდა უყვარდეს ქუთაისში, არამედ ქუთაისი უნდა უყვარდეს თავის თავში. ჩვენ გვეყოლება ასეთი კანდიდატი, საკრებულოში უმრავლესობით მოვალთ და ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ ქალაქში. პირველ რიგში კი, არასაჭირო პრემიებს ავკრძალავთ".

პროგრამა მაქსიმუმზე საუბრობენ „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ქუთაისის ორგანიზაციაში. იმერეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელის დავით წიტაიშვილის განცხადებით, ჯერჯერობით, სიებზე საუბარი ნაადრევია, რადგან კანდიდატებთან კონსულტაციები მიმდინარეობს და კარგებიდან საუკეთესოებისთვის ამზადებენ მანდატს.

„ჯერ ვერ გეტყვით კანდიდატების ვინაობას, მაგრამ შემიძლია პროცენტულად გითხრათ, დაახლოებით, 70% გვაქვს გარკვეული, დანარჩენს ვაზუსტებთ, ათივე ოლქში გვეყოლება კანდიდატი და ვგეგმავთ, უმრავლესობით მოვიდეთ საკრებულოში. რაიმე ხარვეზებზე ვერ ვისაუბრებთ, ვიმედოვნებ, რომ მსგავსად სხვა არჩევნებისა, კარუსელი და მსგავსი დარღვევები არ დაფიქსირდება. ვთვლი, რომ საარჩევნო სიაც მაქსიმალურად დახვეწილია," — აღნიშნა **დავით წიტაიშვილმა.**

წიტაიშვილმა ასევე დაადასტურა, რომ არაა გამორიცხული, მათი სახელით ქუთაისის მერობისთვის ქალაქის ყოფილმა თავმა და იმერეთის გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმა იბრძოლოს.

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ქუთაისის შტაბშიც აღნიშნავენ, რომ ყველა მეტოქეს აფასებენ, თუმცა სახელმწიფო რესურსის წვდომისგან გამომდინარე, მთავარ კონკურენტად „ქართულ ოცნებას" მიიჩნევენ, რის გამოც სხვა პარტიები არათანაბარ პირობებში რჩებიან.

ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ბრძოლას აპირებს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსიც", როგორც პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ციცი ჯინჯიხაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, შტაბის გახსნამდე საარჩევნო კანდიდატთა სიებსა და საარჩევნო პროგრამაზე საუბრისგან თავს იკავებენ.

***

პოლიტიკურ პარტიებს ცესკო-ში სიების შეტანა 15 მაისამდე შეუძლიათ.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იმით არის გამორჩეული, რომ თვითმმართველობის ახალი კოდექსის თანახმად, 12 თვითმმართველი ქალაქია, სადაც მერს პირდაპირი წესით აირჩევენ.

ნუგზარ ფალიანის შემდეგ ქუთაისსაც პირველად ეყოლება პირდაპირი წესით არჩეული მერი, რომელიც პოსტს, საკრებულოს დეპუტატების მსგავსად, მხოლოდ სამი წლით, 2017 წლამდე დაიკავებს.

ქუთაისში წელს 127 უბნის ნაცვლად მხოლოდ 123 უბანი იმუშავებს. როგორც ქალაქის №59 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ოსეფაიშვილი აღნიშნავს, საარჩევნო უბნების შემცირება საარჩევნო სიებიდან უმისამართოების ამოღებამ განაპირობა. №74 და №75 უბნები კი გაერთიანდა, ამასთან ერთად კოპიტნარის დევნილთა დასახლება წყალტუბოს მუნიციპალიტეტს გადაეცა.

შესაძლოა, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების და დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ფოტოებიც იყოს, რითაც მათი იდენტურობა დადასტურდება.

ნესტან ჩაგელიშვილი

მსოფლიო რუსეთის ფერხთქვეშ, თუ პირიქით?

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის განცხადებით, რუსეთს უკრაინასთან დაკავშირებით თავისი პოლიტიკის შესაცვლელად სულ უფრო ცოტა დრო რჩება, რათა დასავლეთის შემდგომ სანქციებს გაექცეს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აშკარად არღვევს საერთაშორისო ნორმებს, მის მიმართ სანქციების დაწესებაში და სიმკაცრის ხარისხში საერთაშორისო საზოგადოება ერთსულოვანი არ აღმოჩნდა. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ საერთაშორისო ნორმები ხშირად მოდის კონფლიქტში ქვეყნების ნაციონალურ ინტერესებთან?!

„კურსის ცვლილებისთვის ფანჯარა იხურება, პრეზიდენტმა პუტინმა და რუსეთმა არჩევანი უნდა გააკეთონ. თუ რუსეთი დეესკალაციის გზას, ჩვენ ამას ყველა დიდი კმაყოფილებით შევხვდებით, მაგრამ თუ რუსეთი ამას არ გააკეთებს, მსოფლიო გააკეთებს ყველაფერს, რათა რუსეთს ასეთი ქმედებები ძვირად დაუჯდეს" — განაცხადა კერიმ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თქმით, რუსეთს არცერთი კონკრეტული ნაბიჯი არ გადაუდგამს იმისთვის, რათა უკრაინაში, ჟენევაში 17 აპრილს მიღწეული შეთანხმების თანახმად, სიტუაცია დაწყნარებულიყო. უკრაინამ კი თავის მხრივ, სიტყვა შეასრულა და კონფლიქტის მოგვარებას ცდილობს. ჟენევის შეთანხმება, რომელიც უკრაინაში დაძაბულობის დეესკალაციას ითვალისწინებს, 17 აპრილს გაფორმდა რუსეთს, უკრაინას, ევროკავშირსა და აშშ-ს შორის. მაგრამ, ჯერჯერობით, შეთანხმებით გათვალისწინებული ნაბიჯების განხორციელებაში მნიშვნელოვანი პროგრესი არ შეინიშნება.

ამასთან, ჯონ კერი რუსულ მხარეს უკრაინაში დემოკრატიული პროცესის აქტიურ საბოტაჟში ადანაშაულებს, რუს ჩინოვნიკებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს კი – პროპაგანდის წარმოებაში, რომელიც უკრაინაში სეპარატისტული განწყობების გაძლიერებისკენაა მიმართული. აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ეჭვი არ ეპარება, რომ რუსეთი სიტუაციის დესტაბილიზაციაში აქტიურ როლს ასრულებს და აღნიშნავს, რომ ამის მტკიცებულება ამერიკულ დაზვერვას აქვს.

უკრაინაში არსებულ ვითარებას გამოეხმაურა სეულში ვიზიტით მყოფი აშშ-ის პრეზიდენტი. ბარაკ ობამას თქმით, ჟენევაში შეთანხმების გაფორმების შემდეგ უკრაინის მთავრობა პირობებს ასრულებს — შემოიღო კანონმდებლობა, რომელიც ამნისტიას ანიჭებს მათ, ვინც განიარაღდება და დატოვებს სამთავრობო შენობებს, დაიწყო საკონსტიტუციო რეფორმის პროცესი, რომელიც ყველა უკრაინელისთვის ითვალისწინებს უფლებებს. ობამას თქმით, უკრაინისგან განსხვავებით, შეთანხმების პირობების შესრულების თვალსაზრისით რუსეთი პასიურობს — არ აკეთებს მკაფიო განცხადებებს, არ გმობს პრო-რუსულად განწყობილ გასამხედროებულ ძალებს და თავის გავლენას არ იყენებს კრიზისის დეესკალაციის მიზნით. ობამას თქმით, დღეს საღამოს ის ევროპის რამდენიმე ლიდერთან გამართავს კონსულტაციებს:

„მნიშვნელოვანია შეიქმნას საფუძველი, რომ თუ ესკალაცია კიდევ უფრო მოიმატებს და რუსეთის მხრიდან უკრაინაში სამხედრო შეჭრა განხორციელდება (ევროპელი ლიდერები) მზად იქნებიან სანქციების დასაწესებლად რუსეთის ეკონომიკის ცალკეული სექტორებისთვის, რასაც კიდევ უფრო ფართო შედეგები ექნება."

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის ყოფილი თანაშემწე მეთიუ ბრაიზა თვლის, რომ რუსეთმა დაარღვია შეთახმებული ნორმების მთელი სისტემა, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობები განსაზღვრა. მისივე თქმით, ის ვერ იხსენებს ფაქტს, რომ ამერიკას რუსეთი ასე მკაცრად დაესაჯოს:

„აშშ რუსეთს უფრო მეტ და მკაცრ სანქციებს დაუწესებს, თუ პრეზიდენტი პუტინი რუს სამხედროებს რუსეთისა და უკრაინის სასაზღვრო ზოლიდან არ გამოიყვანს და აღმოსავლეთ უკრაინაში არსებული პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციის მცდელობებს არ შეწყვეტს. მე ვერ ვიხსენებ, რომ ვაშინგტონს რუსეთი თავისი მიუღებელი ქმედებების გამო ასე მკაცრად დაესაჯოს. თუმცა, ამჯერად, რუსეთმა დაარღვია შეთანხმებული ნორმებისა და წესების მთელი სისტემა, რომელმაც განსაზღვრა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობები" — განუცხადა „პირWელს" მეთიუ ბრაიზამ.

21-ე საუკუნის დიდი საერთაშორისო დაძაბულობა...

„რუსეთის აგრესიამ უკრაინაში დასავლური დემოკრატიები გააერთიანა, მინიმუმ ისეთი საკითხის ირგვლივ, როგორიცაა რუსეთის ქმედებების დაგმობა. თუმცა, მომავალში, როგორც ეს მოსალოდნელია, სხვადასხვა ქვეყნების რეაქცია სხვადასხვაგვარი იქნება და სწორედ ეს გახდება მაცნე 21-ე სუკუნის დიდი საერთაშორისო დაძაბულობისა, რასაც წარმოადგენს კონფლიქტი საერთაშორისო ნორმებსა და ნაციონალურ ინტერესებს შორის" – წერს ფარიდ ზაქარია გამოცემა The Washington Post-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „კონფლიქტი საერთაშორისო ნორმებსა და ნაციონალურ ინტერესებს შორის."

სტატიის ავტორს ამ კონფლიქტის მაგალითად მოჰყავს ინდოეთი — მსოფლიოს ყველაზე მსხვილი დემოკრატია და აღნიშნავს, რომ ნიუ-დელი მთლიანობაში დუმდა უკრაინის მოვლენებზე თებერვალსა და მარტის დასაწყისში, უარს ამბობდა რა რუსეთის წინააღმდეგ რაიმე სანქციის მხარდაჭერაზე. ქვეყნის მრჩეველმა ნაციონალური უსაფრთხოების დარგში განაცხადა, რომ რუსეთს უკრაინაში „ლეგიტიმური" ინტერესები აქვს. პასუხად, ვლადიმერ პუტინმა დაურეკა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს და მადლობა გადაუხადა.

„ინდოეთის რეაქცია რუსეთთან მისი მჭიდრო კავშირებით აიხსნება. 2009-2013 წლებში რუსეთის იარაღის ექსპორტის 38% ინდოეთზე მოდიოდა. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნის წილი (და სამჯერ აღემატება რუსული იარაღის მომდევნო უმსხვილესი იმპორტიორის, ჩინეთის მაჩვენებლებს)" — წერია სტატიაში.

„უფრო საინტერესოა პლანეტაზე ყველაზე პროამერიკული ერის, ისრაელის რეაქცია.

გაგრძელება **მე-5 გვერდზე**

სიკეთის გაკვეთილები

როგორ შეასრულა სიტყვა მერის მოვალეობის შემსრულებელმა შოთა მურღულიამ

ძნელია, სიტყვიერად გადმოსცე მშობლის მადლიერების გრძნობა, როცა ვინმე მის უნარშეზღუდულ შვილს ეფერება, გვერდით უდგას, ადამიანურ სითბოსა და სიყვარულს აგრძნობინებს, ტკივილსა და სიხარულს გულწრფელად იზიარებს.

წინასაარჩევნო კამპანიისას თუ რაიმე დღესასწაულის აღსანიშნავად მობრძანებულ პოლიტიკოსებს, საჯარო მოხელეებს, ცნობილ სახეებს, პიარს რომ იკეთებენ პრესისა და ტელეკამერების წინ, წარმოდგენაც კი არა აქვთ იმაზე, თუ როგორ განიცდიან მათ არაგულწრფელობას, ყალბ დაპირებასა და ღიმილს ბუნებისაგან დაჩაგრული ჩვენი შვილები.

მაგრამ, საბედნიეროდ, ცხოვრებამ, ისეთ ადამიანებსაც შეგვახვედრა, ვისაც გულთან მიაქვს ჩვენი სატკივარი და ცდილობს, შეგვიმსუბუქოს ყოფა, სიხარული და ბედნიერება გვაჩუქოს. ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

ქუთაისში ბევრი იცნობს და-ძმა შორენა და შმაგი ამაღლობლებს, იცნობს მათგან უშურველად გაცემული სიკეთითა და სიქველით. №50 სამარშრუტო ხაზის მფლობელები, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის, მეუფე კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით წლებია, უფასოდ ამგზავრებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს და მათ თანმხლებ პირებს და ასევე დასავლეთ საქართველოს ნეიროორეაბილიტაციის ცენტრის თანამშრომლებს. №50 სამარშრუტო ტაქსების სალონებში პირდაპირ გაკეთებულია წარწერები იმის შესახებ, რომ აქ უფასოდ ემსახურებიან ასეთ მგზავრებს.

ყოველ დილით ამ სამარშრუტო ტაქსთაგან ერთ-ერთს, რომელსაც მორიგეობა მოუწევს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 22 ახალგაზრდა ინკლუზიური სწავლების ცენტრში გადმოჰყავს, საღამოთი კი შინ მოაბრუნებს.

ასეა მთელი ხუთი წელიწადი!

ვინ მოთვლის, რამდენი სიხარული აჩუქეს ინკლუზიური სწავლების ცენტრში ჩვენს შვილებს და-ძმა ამაღლობლებმა სიმარტოვისა და უმოქმედობისათვის განწირულმა ახალგაზრდებმა სწორედ აქ იპოვეს ბედნიერების კერა, იპოვეს თავიანთი შესაძლებლობების რეალიზების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ოცნებების და იმედების ლამაზად გაფერადების ადგილი. ყოველივე კეთილი შემოქმედი კი, თავის თანამშრომლებთან ერთად, უპირველესად, ქალბატონი შორენა ამაღლობელი გახლავთ — ამ ცენტრის დირექტორი.

მისი განუსაზღვრელი სიკეთის მასაზრდოებელი მისივე პატარა ძმისწული — არჩილია. სწორედ აჩიკოზე მზრუნველობამ ასწავლა ქალბატონ შორენას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან გულწრფელი, ფაქიზი ურთიერთობა და მათი სურვილების ამოცნობა. მას შემდეგ, რაც კერძო სკოლა „გონის" დირექტორმა, უკეთილშობილესმა ქალბატონმა, დარეჯან ჩხიროძემ, ინკლუზიური სწავლების ცენტრს უანგაროდ დაუთმო ერთი ოთახი, შორენა ამაღლობელმა მეუფე კალისტრატეს გვერდით დგომით, მისი კურთხევით შეძლო აქაურობა მშობლიურ სახლად ექცია ჩვენი შვილებისათის. 17 წლის ასაკის ზემოთ მყოფი გოგო-ბიჭები, რომლებიც სასკოლო ასაკს უკვე გადაცილებული იყვნენ და პრაქტიკულად, შინ გახლდნენ გამოკეტილნი, ხუთი წელია, უსაზღვრო სიხარულითა და მოლოდინით, ყოველდღიურად მოისწრაფვიან ცენტრისაკენ. მათ აქ, მზრუნველ უფროს მეგობრებთან ერთად, ერთჯერადი კვებაც ხვდებათ და ფრიად სასიამოვნო გარემოც. ფართის სივიწროვის მიუხედავად, ქალბატონმა შორენამ მათთვის არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა, გააცნო საზოგადოების მრავალი წარმომადგენელი, მათ შორის ცნობილი შემოქმედებიც. მეუფე კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით და ქალბატონი შორენას თაოსნობით ცენტრის წევრებმა შემოიარეს საქართველოს კუთხეები, მოილოცეს მრავალი წმინდა ადგილი.

მათთან ხშირად დადიან ეპარქიის წარმომადგენლები, სიყვარულსა და ლოცვა-კურთხევას არ აკლებს თავად მეუფე კალისტრატე. ზაფხულობით კი ქალბატონ შორენას დიდი მზრუნველობით, ჩვენი შვილები მიჰყავს მეუფე კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით ურეკში მამა გიორგის (შალამბერიძის) სახლში, სადაც ბავშვები არაჩვეულებრივად ისვენებენ.

ქალბატონ შორენა ამაღლობელს უამრავი ადამიანი უკავშირდება და სთხოვს, ამ 22 ახალგაზრდასთან ერთად მათი შვილები და ახლობლებიც მიიღოს ცენტრში, მათთან გაინაწილოს ის სიხარული და ბედნიერება, რასაც ჩვენ ვგრძნობთ. სამწუხაროდ, ფართის სიმცირის გამო, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, ისევე, როგორც დიდი და შორს მიმავალი გეგმების სრულად რეალიზება. ქალბატონ შორენას ბევრჯერ შეჰპირდნენ დახმარებას პოლიტიკოსები, ხელისუფლების წარმომადგენლები, ბიზნესმენები, თუმცა დაპირება დღემდე დაპირებად რჩებოდა.

ასე გვეგონა იმ დღესაც, როცა, მოულოდნელად, მართლაც მოხდა სასწაული.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი შოთა მურღულია, ამ თანამდებობაზე მოსვლიდან მესამე დღესვე, ინკლუზიური სწავლების ცენტრს ესტუმრა, საჩუქრად ტელევიზორიც მოუტანა და ახალგაზრდებს დიდი ყურადღებით გაეცნო. როცა პრობლემების შესახებ შეიტყო, ქალბატონ შორენას დახმარება აღუთქვა.

მერე კი...

ქალბატონი შორენა ამაღლობელი ასე გვიყვება:

— ტელეფონის ნომერი მკითხა ბატონმა შოთამ. კი მივეცი, მაგრამ გულში ოდნავ არ მქონია იმედი, რომ რამეს გაგვიკეთებდა, ფუჭ დაპირებებს ხომ შეჩვეული ვართ! ჰოდა, უცებ ამ დღეებში არ დამირეკა?! არ დავუჯერე, როცა მითხრა, რომ ჩვენი თხოვნა შესრულებულია და გარკვეული წესების დაცვით, სათანადო დოკუმენტაციის მომზადების მერე, ჩვენ საკუთრად გადმოგვეცემა ერთ-ერთი ფართი ავტოქარხნის დასახლებაში, მეტიც ამ შენობას გაგვირემონტებენ. გაოცებულები და აღფრთოვანებულები ვართ! დიდი ზეიმია ჩვენს ცენტრში, ბავშვები მოუთმენლად ელიან, როდის გადავალთ ახალ ბინაში, როგორ მოვეწყობით და ახალი ცხოვრებისაკენ სტარტს ავიღებთ! ბატონი შოთა მურღულიას დიდი თანადგომით, ამიერიდან ფართო შესაძლებლობები გვეძლევა, რომ ბევრი რამ გავაკეთოთ ჩვენი ნიჭიერი, გონიერი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მაგრამ სრულიად ჩვეულებრივი, იმედებითა და ოცნებებით სავსე გოგო-ბიჭებისათვის!

— დიახ, ბედნიერია ქალბატონი შორენა, ბედნიერები არიან ჩვენი შვილებიც და, რა თქმა უნდა, ასევე ბედნიერები ვართ მათი მშობლებიც, რომელთაც კარგად გვესმის, რა მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან ამ ბავშვების ინტეგრირება, მათი შინიდან გამოყვანა, ცხოვრების ფერხულში ჩაბმა.

დიდი მადლობა ასეთი განსაკუთრებული ადამიანური თანადგომისათვის ბატონ შოთა მურღულიას — სიტყვის კაცს და შესანიშნავ გულისხმიერ პიროვნებას. უფალმა გაგაძლიეროს ბატონო შოთა, ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის მფარველი, ბევრი კეთილი და მადლიანი საქმეები გეკეთებინოთ ჩვენი ქალაქის კეთილდღეობისათვის. ქუთაისს მართლაც სჭირდება ასეთი ხელმძღვანელი!

სულ ცოტაც და ინკლუზიური სწავლების ცენტრი ავტოქარხნის დასახლებაში არასამთავრობო ორგანიზაცია „მადლი 50-50"-ის სტატუსით შეუდგება ფუნქციონირებას. დამფუძნებელი და დირექტორი შორენა ამაღლობელი ცხოვრების ახალ ფურცელს გადაშლის ჩვენი შვილებისათვის...

უფალმა შეგაძლებინოთ, ქალბატონო შორენა!

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების მშობელთა სახელით — **თამრიკო ხურციძე, ქრისტინა მაჩიტიძე, მარინა ბურჯანაძე**

„კეთილი ნებით" მიღებული წყალი და კანალიზაციას მიერთებული ისტორიული წყარო

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი სამოქალაქო აზროვნება +" აგრძელებს პროექტის — „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა" — განხორციელებას.

თებერვლის მეორე ნახევარი, მარტი და აპრილი იყო საკმაოდ დატვირთული პერიოდი აქტივობებით. პროექტის გუნდმა გავმართეთ შეხვედრები მუხნარის, უქიმერიონის და ვაკისუბნის ტერიტორიულ ორგანოებში, ვანხორციელებდით ქუთაისში მიმდინარე წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოების მონიტორინგს და მონაწილეობა მივიღეთ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფის შეხვედრაში. 10 აპრილს გავმართეთ კონფერენცია „იმერეთის წყალმომარაგება დღეს და ხვალ", თუმცა კონფერენციაზე გაჟღერებული საკითხები, მისი მსვლელობა და მომავალი პერსპექტივები ცალკე სტატიის თემაა, რომელსაც უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

საკმაოდ საინტერსო გამოდგა მუხნარის ტერიტორიულ ორგანოში 21 თებერვალს ჩატარებული შეხვედრა. პროექტის გუნდმა მონაწილეებს გავაცანით აშშ საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის მიზანი და ამოცანები, დასახული შედეგები, განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები, ასევე გადავეცით მათ პროექტის ფარგლებში გამოცემული საინფორმაციო ბუკლეტები.

შეხვედრის წინ, დღის პირველ ნახევარში, ჩვენ ჩავატარეთ ქუთაისის წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგი და შეხვედრის პროგრამის შესაბამისად დაგეგმილი გვქონდა ინფორმაციის მიწოდება დამსწრეთათვის. შეხვედრის დროს მოქალაქეებმა გულისტკივილით გვითხრეს, რომ მიესალმებიან ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას, თუმცა მათთვის ეს ვერანაირი შვება ვერ იქნება, ვინაიდან მათ აქვთ წყალმომარაგების მხრივ სულ სხვა პრობლემა, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

მუხნარის მართვის ტერიტორიული ორგანოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას სასმელი წყალი მიეწოდება გრაფიკით, დღეში ორი საათი, სოფელ სარბევში არსებული ჭებიდან ტუმბოების საშუალებით, რომელსაც კონტროლს უწევდა ს.ს. „რიონჰესი". ასევე აღნიშნული ორგანიზაცია კონტროლს უწევდა საკანალიზაციო ქსელის სისტემის გამართულ მუშაობას.

ამჟამად ს.ს. „რიონჰესი" შესყიდული აქვს „ენერგო-პრო ჯორჯიას", მათ შორის წყალსატუმბი სადგურიც, ხოლო წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის შესყიდვაზე მათ უარი განაცხადეს, რის შედეგადაც ის გადავიდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე. დღეისათვის მომსახურებაზე პასუხისმგებლობა არავის აქვს აღებული, მხოლოდ „ენერგო-პრო ჯორჯიას" კეთილ ნებაზეა დამოკიდებული მოსახლეობისათვის წყლის მიწოდება. წყალი არ მიეწოდება ახალგაზრდობის გამზირის მე-6 შესახვევს, ახალგაზრდობის გამზირის მე-7 შესახვევის ნაწილს და სადგურ „რიონი"-ს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას. საკანალიზაციო სისტემა, წყალსადენის ქსელი და მილსადენი მთლიანად ამორტიზირებულია.

აღნიშნულს ემატება ისიც, რომ მ.ტ.ო.-ს ტერიტორიაზე განთავსებული ბიზნეს-სტრუქტურის — სასტუმროს მიერ, წყლის მომარაგების მიზნით (სასტუმროს საკუთრებაში არსებული წყლის ავზების ავსებისათვის) ტუმბოების გამოყენების შედეგად, დანარჩენი მოსახლეობა ვერ ღებულობს წყალს. თვითონ წყლის ხარისხი ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას და უვარგისია როგორც დასალევად, ასევე ტექნიკური მიზნებისთვისაც. მოსახლეობა იძულებულია, იყიდოს სასმელი წყალი, რაც დამატებით ტვირთად აწვება მათ ოჯახურ ბიუჯეტს.

რადგანაც მუხნარის მართვის ტერიტორიული ორგანოს ტერიტორიის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელი არ ეკუთვნის არც ქალაქის წყალმომარაგებას და არც საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას, შესაბამისად, ის ვერცერთხელ ვერ მოხვდა ქალაქის წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოების ნუსხაში.

სასმელი წყლის პრობლემის მოგვარების მიზნით მოსახლეობას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დროულად მოხდეს წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის გადასვლა ქ. ქუთაისის წყალმომარაგების ბალანსზე, რათა მუხნარის ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორია გათვალისწინებული იყოს ქ. ქუთაისის წყალმომარაგების სრული რეაბილიტაციისათვის განსაზღვრულ პროგრამაში.

აღნიშნულის შესახებ მათ მრავალჯერ მიმართეს ზემოქმედების მქონე ყველა ინსტანციას, მათ შორის მიმდინარე წელს — ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ შოთა მურღულიას, რომელიც დაპირდა მათ საკითხში გარკვევას. ჩვენის მხრივ, დამსწრეებს შევპირდით, რომ აღნიშნულ საკითხს დავაყენებდით მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსთან არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა საინფორმაციო-საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრაზე.

27 თებერვალს გავმართედ შეხვედრა ქუთაისის უქიმერიონის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებთან.

შეხვედრის მონაწილეების მიერ გამოთქმულ წყალმომარაგების პრობლემებში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

• ხდება წყლის დაღვრა ახლადდამონტაჟებული მილების დაზიანების გამო (სავარაუდოდ, წყლის ზედმეტი წნევის გამო), მათი შეკეთება არაფერს იძლევა, რამდენიმე დღის შემდეგ საჭირო ხდება ხელახალი შეკეთება ან მილის გამოცვლა;

• მრავალსართულიან ბინებში დაღვრილი წყალი ავსებს სარდაფებს და საჭიროებს ამოტუმბვას;

• ხშირია ზედმეტი სულადობის ან ვალის მიწერის შემთხვევები.

ყველა ბენეფიციარს მიეცა შესაბამისი ინფორმაციული და ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები. ზოგიერთი საკითხის გადასაწყვეტად (ზედმეტი თანხის დაკისრება წყალმომარაგების კომპანიის მხრიდან) რამდენიმე ბენეფიციარს ვთხოვეთ, შეეგროვებინა მათი გადახდის ქვითრები და შემდგომ მობრძანებულიყვნენ ჩვენთან ოფისში, რათა დოკუმენტაციის საფუძველზე მოგვეხდინა მათი ვალის წარმოშობის კვლევა.

14 მარტს მონაწილეობა მივიღეთ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსთან არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა საინფორმაციო-საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრაში. შეხვედრას ესწრებოდა წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოების განმხორციელებელი კომპანია „კობრა"-ს, ზედამხედველი კომპანია „ეპტისა"-ს და წყალმომარაგების ქუთაისის სერვის-ცენტრის ხელმძღვანელობა. ძირითადი საკითხი, რომელიც განიხილებოდა შეხვედრაზე, იყო სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ მათი ანგარიში და მარტ-აპრილში დაგეგმილი სამუშაოები. ასევე გადაწყდა, რომ აღნიშნული კომპანიები ყოველთვიურად წარმოადგენენ როგორც შესრულებული სამუშაოების ანგარიშს, ასევე მომავალ თვეს დაგეგმილი სამუშაოების განვითარების გრაფიკს.

27 მარტს გავმართეთ შეხვედრა ქუთაისის ვაკისუბნის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებთან.

შეხვედრის მსვლელობისას გამოთქმულ პრობლემებში გამოვყოფდით შემდეგს — „ბინა დაკეტილია (არავინ ცხოვრობს), შესაბამისი განცხადებით მივმართეთ სერვის-ცენტრს, თუმცა მაინც მოგვდის გადასახადი."

დამსწრეებს განემარტა, რომ, როდესაც წყალმომარაგების გადასახადის აღრიცხვა ხდება სულადობრივი (ფიქსირებული) მეთოდით, თუ ბინა დაკეტილია, აუცილებელია შესაბამისი განცხადებით მიმართვა წყალმომარაგების სერვის-ცენტრში. აღნიშნული განცხადების შეტანიდან ქვითრებში ასახვისათვის სერვის-ცენტრს სჭირდება 1 თვე, თუმცა დაახლოებით 1 წლის შემდეგ ისინი კვლავ არიცხავენ მომხმარებელს წყლის გადასახადს, რადგან, როგორც თვითონ განმარტავენ — „ჩვენ ხომ არ ვიცით, ბინაში კვლავ თუ არ ცხოვრობს ვინმე." ამიტომ აუცილებელია ხელახალი განცხადების დაწერა.

რაც შეეხება მონიტორინგის ანგარიშებს, ისინი საკმაოდ ვრცელია და დაყოფილია სამ ნაწილად:

1. აუზების (რეზერვუარების) მშენებლობა;
2. სატუმბე სადგურები;
3. მილგაყვანილობის მშენებლობა.

წყალმომარაგების პროექტიდან გამომდინარე და მონიტორინგის შედეგად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი შენიშვნები, რომლებიც მივაწოდეთ წყალმომარაგების სერვის-ცენტრს:

• პროექტის განხორციელება, თანახმად KOCKS-ის მოცემულობებისა ყველა კომპონენტში, ან მისი შესწორება ოფიციალურად დამკვეთსა და პროექტის ავტორს შორის, ან პროექტის გადაანგარიშება თვით დამკვეთიდან;

• შემჩნევების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება;

• განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა რეზერვუარების მშენებლობაზე შესაძლებლად მოკლე ვადაში შესრულებისათვის, განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოებისა, სადაც არის, ჯერჯერობით, შესაძლებლობა რამდენიმე სახის სამუშაოთა (სატუმბი სადგურის, მილგაყვანილობის, ელქსელის) პარალელურად შესრულებისა, რისი საშუალებაც, სამწუხაროდ, ნაწილობრივ გაშვებულია;

• სატუმბე სადგურების ნიშნულებისა და წყლის ატუმბვის სიმაღლეების კორექტირება, რათა თავიდან იქნას აცილებული ტექნიკური შეცდომები, შესაბამისად, ეკონომიკური მონაცემების გადაანგარიშებით;

• მაგისტრალური ჩამომშვები მილი გელათის ქუჩაზე ჩადებულია პოლიეთილენის და არა ჭედური თუჯის, როგორც იყო თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული;

• არ ხდება აბონენტების დროულად დაერთება ახალ ქსელზე.

ისტორიული „ჯავახაძის წყარო" დაბინძურების საშიშროების წინაშეა

საგანგაშოა ქალაქის ერთ-ერთ ტურისტულ და ისტორიულ ძეგლთან — „ჯავახაძის წყაროსთან" მიმდებარე ორ შესახვევში არსებული მდგომარეობა. დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ კიბულის ქუჩის შესახვევებში არსებული საუკუნის წინანდელი ღვარსადენი გადაკეთებულია საკანალიზაციო არხად და შიგ გამდინარე გადამუშავებული სითხე ღიად მოედინება „ჯავახაძის წყაროს" მიმდებარე ტერიტორიაზე. ძლიერი წვიმის დროს ღვარსადენის ძლიერი ჩარეცხვის გამო წყლის დიდი ნაკადი მოედინება ქუჩაში, რის გამოც გადაადგილება ხდება შეუძლებელი, ქუჩები დაბინძურებულია და გაურკვეველი სითხე შედის მიმდებარე სახლებში, რაც მთავარია — ბინძურდება ისტორიული „ჯავახაძის წყარო", ქალაქის ერთ-ერთი ღირშესანიშნავი და ტურისტული ადგილი. მოსახლეობა თანახმაა, თავის თავზე აიღოს საჭირო სამუშაოების დაფინანსების ნაწილი, თუმცა, ჯერჯერობით, პრობლემა რჩება გადაუჭრელი, დაწყებული საპროექტო სამუშაოთა დაგეგმვიდან.

„ახალი სამოქალაქო აზროვნება +" სტატია მომზადებულია პროექტის „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა" ფარგლებში.

ტელ: 24-24-62
asa@asa.org.ge

This project is funded by the U.S. Embassy Tbilisi. The contents of this publication are those of the Author(s) and do not necessarily represent the views of the Department of State.

პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

UNITED STATES OF AMERICA U.S. EMBASSY TBILISI

Government of the United States

„გველეშაპი ქვია თუ კობრა, სამუშაოები ვერა და ვერ დაასრულა“

უყურადღებოდ მიტოვებული ქუთაისელები შველას ითხოვენ

ქუთაისში, ბათუმის ქუჩაზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები გასულ წელს დაიწყო და ამ დრომდე არ დასრულებულა, რაც ადგილობრივების უკმაყოფილებას იწვევს. ქუჩის რეაბილიტაციას 24-საათიანი წყალმომარაგების პროექტის ფარგლებში, გამარჯვებული ესპანური ორგანიზაცია „კობრა“ აწარმოებს. მიუხედავად იმისა, რომ „კობრამ“ სამუშაოები აღნიშნულ ქუჩაზე 2013 წლის სექტემბრიდან დაიწყო, წყლის მილების გაყვანა მხოლოდ მიმდინარე წლის აპრილში დაასრულა. ამ პერიოდიდან მოყოლებული ბათუმის ქუჩა მთლიანად გადათხრილია. მოსახლეობას გადაადგილება, როგორც ფეხით, ასევე ტრანსპორტით უჭირს.

როგორც ადგილობრივები აცხადებენ, ჯერ წყალმომარაგების, შემდეგ კი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელმა კომპანიებმა, არამარტო გზა, არამედ ეზოებში შესასვლელები, ღობეები, დენის და ტელეფონის ბოძებიც დააზიანეს.

გადათხრილი გზის გამო ბათუმის ქუჩაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა ვერ მიდის. უკვე თვეებია, რაც აღნიშნულ ქუჩაზე დასუფთავების მანქანებიც აღარ დადიან, რის გამოც მოსახლეობას ნაგვის ხელით გატანა უხდება.

„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

დათო კაპანაძე, ადგილობრივი: „აგერ უკვე ხუთ თვეზე მეტია, ამ მდგომარეობაში ვიმყოფებით, არავინ ჩვენი პატრონი არაა. გველეშაპი ქვია თუ კობრა, სამუშაოები ვერა და ვერ დაასრულა. გადათხარეს მთელი ქუჩა და დატოვეს. ღობეები დაამტვრიეს, ბოძებს მიწა გამოაცალეს და მალე თავზე წამოგვემხობა. ქუჩაში ვერ გამოვსულვართ. მივაკითხეთ კეთილმოწყობის სამსახურს, მაგრამ რად გინდა, ყურადღებას არავინ გვაქცევს.“

ლიანა გელაშვილი, ადგილობრივი: „რაც ეს სამუშაოები დაიწყო, იმის მერე ჩვენი საშველი არ არის, ისევ ძველი მდგომარეობა ჯობდა, მგონი. წყალმომარაგების კომპანიაში პასუხსაც არავინ გვცემს, გვეუბნებიან, თბილისს უნდა დაუკავშირდეთო. დახეთქილია წყლის „სოჩიკები“ და წყალი სახლში გადმოდის, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. ვისაც არ მივაკითხეთ, ყველა იძახის, რომ მათი საქმე არაა, ვინმემ ხომ უნდა გვითხრას, როდის მოგვარდება ეს პრობლემა? ჩვენით გავაკეთეთ მილები, მოვიდა ტრაქტორი და, გაკეთების მაგივრად, ესეც დაგვიმტვრია, ტრაქტორისტი ისე დადიოდა, არავინ მოყვებოდა, რომ ეთქვა, სად გადიოდა წყლის მილი და სად კანალიზაციის, დადიოდა ასე უპატრონოდ და ამტვრევდა ყველაფერს.“

გოჩა კალმახელიძე, ადგილობრივი: „სასწრაფო ვერ გამოგვიძახებია, რადგან ვერ შემოდიან, ტაქსზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, ნაგვის მანქანაც აღარ დადის, გავივსეთ ნაგვით და სიბინძურით, ხელით ვეზიდებით ნაგავს მეორე ქუჩამდე. სახლში შესასვლელიც არ დაგვიტოვეს, დავხტივართ აქეთ-იქეთ. წვიმიან ამინდში კი საერთოდ შეუძლებელია გავლა. კანალიზაციის მილები დაამტვრიეს და ფეკალური მასები ქუჩაში გადმოდის, დაახლოებით, ნახევარი წელიწადია, ასეთ მდგომარეობაში ვართ“.

ბათუმის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული შპს „mgm“ ახორციელებს. კომპანია 354 000 ლარიან სატენდერო წინადადებას 283 000 ლარად აწარმოებს.

მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი მალხაზ ბასილაძე ადასტურებს, რომ აღნიშნულ ქუჩაზე მძიმე მდგომარეობაა, თუმცა მიმდინარე სამუშაოების დროში გახანგრძლივებას „კობრას“ მიერ ვალდებულებების დათქმულ ვადაში შეუსრულებლობით ხსნის.

„მე თვითონ ვიყავი ბათუმის ქუჩაზე და სიტუაციას ადგილზე გავეცანი. მართლაც მძიმე მდგომარეობაა და დისკომფორტს უქმნის ადგილობრივებს, მაგრამ იმის გამო, რომ ორგანიზაცია „კობრამ“ სამუშაოები დანიშნულ დროს ვერ დაასრულა, იძულებული ვიყავით, ჩვენც შეგვეჩერებინა მუშაობა. ბოლოს მოვთხოვეთ კომპანიას შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ დავიწყებდით გზის მოსაპირკეთებელ სამუშაოებს და მათ თავიდან მოუხდებოდათ გზის გადათხრა. ქუჩაზე სხვადასხვა სახის პრობლემები იყო, მაგრამ „კობრამ“ მუშაობა უკვე დაასრულა. შესაბამისად, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ უკვე დაიწყო სამუშაოები. ასევე იყო სხვადასხვა სახის პრობლემები სანიაღვრე სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით. ველოდებით გამოდარებას, რადგან შეუძლებელია წვიმაში მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება და ბეტონის დაგება. ამიტომ ველოდებით კარგ ამინდს. მიწა უნდა მოიჭრას, 6-სანტიმეტრიანი ღორღის ფენა უნდა დაეგოს, შემდგომ ამისა კი 16-სანტიმეტრიანი ბეტონის საფარი გაკეთდეს. კომპანიას სახელშეკრულებო პირობებით სამუშაოს დასასრულებლად ორთვიანი ვადა აქვს, მაგრამ შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ მაისის თვის მეორე ნახევარში ბათუმის ქუჩაზე სამუშაოები დასრულებული იქნება,“ — განაცხადა **მალხაზ ბასილაძემ**. ბათუმის ქუჩის მცხოვრებთა განცხადების მიუხედავად, ბასილაძემ არ დაადასტურა, რომ ადგილობრივები აღნიშნული პრობლემის გამო მასთან იმყოფებოდნენ.

ნესტან ჩაგელიშვილი

მსოფლიო რუსეთის ფერხთქვეშ, თუ პირიქით?

მე-3 გვერდიდან

ისრაელმა, რომელიც ჩვეულებრივ მხარს უჭერს აშშ-ის თითქმის ყველა საგარეოპოლიტიკურ ინიციატივას, უკრაინის საკითხზე განსხვავებული პოზიცია დაიკავა“ — აღნიშნავს ფარიდ ზაქარია.

როგორც სტატიაში წერია, პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიანჰუ უჩვეულოდ ფრთხილი იყო, როდესაც განაცხადა: „იმედს ვიტოვებ, რომ უკრაინაში სიტუაცია მშვიდობიანად და სწრაფად მოგვარდება, თუმცა ჩვენ საკუთარი საქმეებიც მრავლად გვაქვს“. საგარეო საქმეთა მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმა უფრო მკაფიო განცხადება გააკეთა, ერთნაირად დაახასიათა რა რუსეთიც და ამერიკაც. „ჩვენ კარგი და სანდო ურთიერთობა გვაქვს რუსებთანაც და ამერიკელებთანაც, ასევე ორივე ამ ქვეყანასთან მუშაობის ძალიან დადებითი გამოცდილება. ამიტომ არ მესმის, რატომ უნდა ჩაებას ამაში ისრაელი“ — თქვა მან.

კერძო საუბარში ისრაელელმა ჩინოვნიკებმა თქვეს, რომ მათ რუსეთთან გაუცხოება არ უნდათ, რადგან მოსკოვი სჭირდებათ მილიონობით საფრთხესთან, დიდწილად ირანთან ბრძოლისათვის, ასევე იმ საფრთხეებთან გამკლავებისათვის, რომელიც ჩნდება ხოლმე სირიის სამოქალაქო ომის გამო. თუმცა, ბევრის აზრით, ისრაელს შეუძლია მოსკოვთან განსაკუთრებული ურთიერთობის ჩამოყალიბება, იმ ასობით ათას რუს ებრაელთან კავშირების წყალობით, რომლებიც დღეს ისრაელში ცხოვრობენ და იქ პოლიტიკური ძალაც აქვთ. ამ კვირაში, ბრუკლინში ლიბერმანმა თქვა, რომ ისრაელის ახალი პრემიერ-მინისტრი რუსულენოვანი იქნება (როდესაც ლიბერმანი პუტინს ან საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვს ხვდება, ისინი რუსულ ენაზე ლაპარაკობენ, რომელიც ლიბერმანის მშობლიური ენაა).

ჩინეთს, რაც შეიძლება ნაკლებად გასაკვირიცაა, ასევე არ სურდა რუსეთის კრიტიკა და მის წინააღმდეგ სანქციების მხარდაჭერა. თუმცა, მისი პოზიცია უფრო დახვეწილია. ქვეყანა არ იწონებს რუსეთის ქმედებებს და ხაზს უსვამს იმას, რომ მხარს უჭერს „უკრაინის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას“.

„სამივე შემთხვევაში შეიძლება იდავო იმაზე, რომ ქვეყნებს ეშლებათ ის, თუ კონკრეტულად რა არის მათი ნამდვილი ნაციონალური ინტერესი: რუსეთს ჩინეთთან გრძელი საერთო საზღვარი აქვს, ამიტომ პეკინს არ აწყობს მხარი დაუჭიროს მოსკოვის მცდელობას, შეცვალოს საზღვრები ძალის მეშვეობით. ისრაელის მხრიდან სიბრიყვე იქნებოდა, კრემლთან ალიანსის ბუნდოვანი ილუზიების გამო, საფრთხე შეექმნა თავისი ურთიერთობისათვის ყველაზე ახლო მოკავშირესთან. ის, რომ ლიბერმანმა რუსული ენა იცის, ხელი ვერ შეუშალა ირანის, სირიის და „ჰეზბოლას“ მოძრაობის (სირიის გავლით) რუსული იარაღით მომარაგებას.

თუმცა, ყველა ამ ცალკეულ საკითხზე მაღლა დგას მთავარი რამ: სურთ თუ არა ამ ქვეყნებს ისეთ მსოფლიოში ცხოვრება, რომელიც მხოლოდ ეროვნული ინტერესების თამაშით იმართება:

1945 წლიდან სულ უფრო მეტი ძალისხმევა იხარჯება საერთაშორისო ნორმების გაფართოებისაკენ, მაგალითად, ისეთი კანონების შექმნისაკენ, რომლის მიზანიც ტერიტორიების ძალისმიერი დაპყრობის პრევენციაა. ამ ნორმებს ყოველთვის არ ითვალისწინებენ, თუმცა, მან, წარსულთან შედარებით, ხელი შეუწყო უფრო მშვიდობიანი და აყვავებული თანამეგობრობის შექმნას. მომდევნო ათწლეულის განმავლობაში (იმის მიხედვით, თუ როგორ მოიქცევიან ახალი განვითარებადი ქვეყნები) ეს ნორმები ან განმტკიცდება, ან გაქრება. სწორედ ეს გახდება 21-ე საუკუნეში ომის და მშვიდობის განმსაზღვრელი ფაქტორი“ — წერს ფარიდ ზაქარია The Washington Post-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.

ცოტნე კეთილაძე

„წიგნი ობიექტივიდან“ – ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა ფოტოკონკურსს აცხადებს

დავინახოთ ბიბლიოთეკისა და წიგნის სამყარო! ავსახოთ ემოციები! შევძინოთ ჩვეულ გარემოს მეტი ფერები! – ამ დევიზით ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის №13 საქალაქო ბიბლიოთეკა პროექტის: „2014 წელი — წიგნიერების წელი“ ფარგლებში აცხადებს ფოტოკონკურსს სახელწოდებით: „წიგნი ობიექტივიდან“.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ წიგნის მოყვარულებსა და ბიბლიოთეკარებს. კონკურსის პირობები:

1. ფოტოების თემა უნდა ეხებოდეს წიგნს, ბიბლიოთეკას, მკითხველს;
2. ფოტოს საავტორო უფლებები უნდა ეკუთვნოდეს გამომგზავნელს. სურათის გამარჯვების შემთხვევაში, ფოტოზე იმავე უფლებას იტოვებს ბიბლიოთეკა;
3. ჟიურის ეძლევა უფლება, რომ შეზღუდვების გარეშე გამოიყენოს ფოტოსურათი;
4. კომპიუტერული პროგრამებით დამუშავებული ფოტოები კონკურსისათვის არ მიიღება. დასაშვებია მხოლოდ მინიმალური ჩარევა, კადრირება;
5. კონკურსის მონაწილე ვალდებულია, რომ ფოტოები წარმოადგინოს დაბეჭდილი სახით (10/15-ზე);
6. ფოტოები ავტორს არ დაუბრუნდება;
7. კონკურსისათვის ფოტოების მისაღები მაქსიმალური რაოდენობაა სამი ცალი (ერთ მონაწილეს შეუძლია მხოლოდ 3 სურათის გამოგზავნა). სამზე მეტი ფოტოს გამოგზავნის შემთხვევაში, ავტორის პორტფოლიო ავტომატურად იქნება დაწუნებული, ფოტოების ხარისხის მიუხედავად. ამიტომ, გთხოვთ, შეარჩიოთ თქვენთვის საუკეთესო სამი კადრი.

გამარჯვებულები, რომლებსაც კომპეტენტური ჟიური გამოავლენს, დასაჩუქრდებიან სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ფოტონამუშევრები ბეჭდური და ელექტრონული სახით 2014 წლის 10 მაისამდე უნდა გააგზავნონ.

ნესტან ჩაგელიშვილი

psnews.ge

ნორჩ მათემატიკოსთა სამყარო

განათლება დღევანდელ დინამიურ და სწრაფცვლილებად სამყაროში წარმატების მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა. სასკოლო განათლებას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება — მოამზადოს მოსწავლეები XXI საუკუნის გამოწვევებისათვის, დაეხმაროს მათ, გახდნენ წარმატებული მოქალაქეები, ჩამოყალიბდნენ საკუთარ სფეროში აღიარებულ პროფესიონალებად...

იმისათვის, რომ მოსწავლეებს გაუძლიერდეთ სწავლისადმი მოტივაცია, მათი განვითარება გახდეს ჰარმონიული, შემეცნება დაფუძნებული იყოს მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთ სიყვარულზე, სკოლა უნდა შეეცადოს, უზრუნველყოს სასკოლო გეგმით გაწერილი ვალდებულებების, სწავლების დაწყებით საფეხურზევე თანმიმდევრულად შესრულება.

თანამედროვე სასწავლო პროგრამები, უსაფრთხო და მასტიმულირებელი სასწავლო გარემო, მოსწავლეთა მაღალი მიღწევების მოლოდინი, კვალიფიციური და მზრუნველი მასწავლებლები, სწავლებისა და შეფასების ინოვაციური მეთოდები, მრავალფეროვანი გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებები გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ დასახულ მიზანს მივაღწიოთ, რათა საბაზო თუ საშუალო საფეხურს ესტაფეტასავით გადავცეთ უკვე სწავლის წყურვილით ანთებული მომავალი თაობა.

სწორედ ამ პრინციპების გათვალისწინებით წარმართავენ თავიანთ საქმიანობას სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა--მათემატიკის საჯარო სკოლის დაწყებითი სწავლების პედაგოგები.

2005-2006 სასწავლო წელს ჩემი (მაშინდელი 45-ე საჯარო სკოლის მოქმედი დირექტორი) და ბატონი ივლიანე ნაჭყებიას (მაშინდელი ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 საჯარო სკოლის დირექტორი) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მაშინდელი მინისტრის სახელზე გაიგზავნა წერილი, რომელშიც ვთხოვდით №45 საჯარო სკოლის შეერთებას №41 საჯარო სკოლასთან, რათა №45 საჯარო სკოლის შენობაში განთავსებულიყო დაწყებითი სწავლება (№41 საჯარო სკოლაში იყო მხოლოდ მეორე და მესამე საფეხური). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაითვალისწინა ჩვენი თხოვნა და დააკმაყოფილა კიდეც. 2007 წლის 24 იანვრის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №52 ბრძანების საფუძველზე 45-ე საჯარო სკოლა შეუერთდა 41-ე საჯარო სკოლას.

რა მივიღეთ შედეგად? გაამართლა თუ არა ამ გადაწყვეტილებამ? უკვე მეშვიდე წელიწადია, სკოლაში მიმდინარეობს სწავლება სამივე საფეხურზე, რაც ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს.

დღეს ქვეყნის მასშტაბით ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა ის პირველი მერცხალია, რომელსაც სტატუსთან ერთად საბაზო და საშუალო საფეხურისგან გამოყოფილი, დაწყებითი სწავლების კორპუსში (ჯავახიშვილის №21) საიმედოდ დაცული და დაბინავებული ჰყავს პირველი-მეხუთე კლასები (900-მდე მოსწავლით 27 ფინანსურ კლასში) სწავლების ორ ცვლაში (სკოლის დირექტორი გენადი მარგველაშვილი, დაწყებითი სწავლების ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე მე გახლავართ, მერაბ გრიგოლაშვილი), რომლის მოსწავლეებმაც: ანა კორძაძემ, გიორგი აბაკუმოვმა, მარიამ მარგველაშვილმა, აკაკი ღაჭავამ, ზაურ ბოკელავაძემ, მარიამ შონიამ, გიორგი ლეშკაშელმა, მათე მარგველაშვილმა, თეიმურაზ ქომეთიანმა, შოთა გორდაძემ, ზურაბ ბიბიჩაძემ, თარაშ ზვიადაძემ, მარიამ ხუჯაძემ, საბა გაბუნიამ, მათე ჟორჟოლიანმა, მარიამ კიკვიძემ, თეკლა ჩაფიძემ, თეკლა შეყრილაძემ, ბექა სანდუხაძემ, გრიგოლ ცირეკიძემ, ელენე ქოჩიაშვილმა, დურმიშხან ქართველიშვილმა, ლოლა ჩორგოლაშვილმა, ირაკლი ბარაბაძემ, ანი კაკაურიძემ, თეიმურაზ ყანთელაძემ, გვანცა მარგველაშვილმა, მარიამ ლომთაძემ, ანასტაცია ცირეკიძემ, ლილე ჩაგანავამ, ზურა თავხელიძემ, მარიამ მამაგეიშვილმა, თამთა კვარაცხელიამ, საბა გაბუნიამ, მარიამ კახიძემ, საბა ალავიძემ, გაბი კირთაძემ, საბა ლორთქიფანიძემ, თიკო მასხარაშვილმა, გიგი სიჭინავამ და მრავალმა სხვამ დიდ წარმატებას მიაღწიეს „ევერესტის" BG-ჯგუფის", „კინგსის", „კენგურუს" თუ სხვა კონკურსებზე. ესენი სწორედ ის ბავშვებია, რომლებიც სამომავლოდ გააგრძელებენ ფიზიკა-მათემატიკის სტატუსის სკოლის დიდ ტრადიციებს, დავიმახსოვროთ მათი სახელები...

შედეგებიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ კომპონენტში ქვეყნის მასშტაბით არაოფიციალური ჩემპიონები ვართ. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ „ევერესტის" ტურზე დაჯილდოებული 10 პედაგოგიდან ხუთი: ნათია ფხაკაძე, ნინო ბედიაშვილი, ირინა კოპალიანი, თეა გურეშიძე, მაგდა პაპიძე დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები არიან, რომლებიც დაჯილდოვდნენ „მადლობის ფურცლითა" და ფასიანი საჩუქრებით.

გაამართლა თუ არა ამ გადაწყვეტილებამ — მკითხველმა განსაჯოს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოხდა შენობის გადაკეთება თანამედროვე სტანდარტების დონეზე. შეიცვალა,როგორც შიგა, ასევე გარე ინტერიერი. დამონტაჟდა ახალი ტიპის გათბობის სისტემა. მოეწყო ეზოს ტერიტორია, ღია სპორტული მოედანი და დარბაზი. სკოლა აღიჭურვა თანამედროვე კომპიუტერული სისტემით. მუშაობს კვების ბლოკი.

რაც შეეხება სწავლა-სწავლების საკითხს, დაწყებითების კორპუსში დაკავებულია 35 პედაგოგი. აქედან გამომდინარე, დაწყებითების კათედრა ყველაზე დიდია, პედაგოგთა უმრავლესობა სერთიფიცირებულია, ყველა მათგანი — მაღალკვალიფიციური.

დაწყებითი სწავლების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით კათედრა (კათედრის თავმჯდომარე ქალბატონი ნანა კიკვიძე) ზრუნავს მომზადოს აქტიური, ცოდნაზე ორიენტირებული, პასუხისმგებლობით აღსავსე, შემოქმედი, ინფორმირებული და ამ ინფორმაციის ადეკვატურად გამოყენების უნარის მქონე, კონკურენტუნარიანი, ეროვნული ინტერესების მატარებელი მოაზროვნე პიროვნება, რაც ხელს უწყობს მათ გლობალურ სივრცეში თანასწორუფლებიან, სრულფასოვან და წარმატებულ დამკვიდრებას.

მასწავლებლები სწავლების პროცესში ახორციელებენ მრავალფეროვან აქტივობას, რომლებიც ხელს უწყობენ, როგორც ანალიზის უნარის განვითარებას, ასევე ისეთი ფსიქიკური პროცესების ჩამოყალიბებას, როგორიცაა აღქმა და ყურადღება.

თითოეულ ფასილიტატორს ერთ ჯგუფში სრულიად განსხვავებული შესაძლებლობის ბავშვებთან უწევს მუშაობა. ისინი უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ მიდგომას მოსწავლის მაქსიმალურად რეალიზებისთვის. ახერხებენ დავალებების დიფერენცირებას დიაგნოსტიკური და სხვა ტიპის შეფასების გამოყენებით და ბავშვების შესაძლებლობებზე მორგებას. ყურადღებით ისმენენ მათ მოსაზრებებს და ადეკვატურად იყენებენ მუშაობის პროცესში. ეხმარებიან ბავშვებს, თავად ააგონ ცოდნა, იპოვონ მნიშვნელობები, დაამყარონ საგნებს შორის კავშირი და შეძლონ ანალიზი. მოსწავლეებს კი ეძლევათ წარმატების განცდის შანსი, რაც უძლიერებთ საკუთარი ძალების რწმენასა და დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას იმის მიმართ, რასაც საგაკვეთილო პროცესში შესთავაზებს მასწავლებელი.

სკოლაში სასწავლო პროცესის ადმინისტრატორი არის მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი პედაგოგი ქალბატონი თინათინ კარანაძე. იგი თავის მრავალწლიან გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა პედაგოგებს და ეხმარება მათ გაკვეთილების მაღალ დონეზე წარმართვაში.

თანამედროვე სკოლა წარმოუდგენელია ტექნოლოგიების გარეშე. სასწავლო პროცესის წინსვლა იმაზეა დამოკიდებული, როგორი წარმატებით მოხდება საგანმანათლებლო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების როლის გაფართოება. ამ მხრივ აღსანიშნავია პატარების დამოკიდებულება ბუკებთან. ისინი კომპიუტერებთან ურთიერთობას შესანიშნავად ახერხებენ, მყისიერად უღებენ ალღოს ნებისმიერ პროგრამას, არასოდეს სჯერდებიან მიღწეულს, ეძებენ სიახლეებს, ირჩევენ მარტივ გზებს. ყოველივე ამაში პედაგოგს ხელს უწყობს საინფორმაციო მენეჯერი ბატონი ვახტანგ შეკიშვილი.

შაბათ-კვირაობით მოწვეული მასწავლებლების დახმარებით ჩვენი სკოლისა და არა მხოლოდ ჩვენი სკოლის მოსწავლეთათვის ვატარებთ „საკვირაო" სკოლას მათემატიკაში. დაწვრილებით ამ საკითხებს შემდეგ სტატიებშიც შეეხებით.

სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სხვადასხვა სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტი, კერძოდ: „წიგნი ცოდნის გასაღები", „ვწეროთ ლამაზად!" „ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა..." — IIბ კლასის მასწავლებელი ნინო გამყრელიძე (პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი), რომელიც დაწყებითი სწავლების ერთ-ერთი აქტიური და მოწინავე მასწავლებელია; „ჩემი სახელის ისტორია" — IIIბ კლასის მასწავლებელი მარიკა ყურაშვილი; „იქნებ ვაზია სამშობლო", „დავით მეოთხე აღმაშენებელი" — IVბ კლასის მასწავლებელი მარიკა დათუაშვილი; „წიგნიერი" — IIბ კლასის მასწავლებელი ნინო ღურჭუმელიძე; გასართობი ღონისძიებები, კერძოდ: „საახალწლო კარნავალი" — Iბ კლასი, რომელიც ჩატარდა სკოლის სპორტულ დარბაზში. იმავე კლასის მოსწავლეებმა (დამრიგებელი თეა ხურციძე) 22 აპრილს განახორციელეს პროექტი „დედამიწა ჩემი სახლია". მათ ღონისძიების დასასრულს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე დარგეს ხეები.

პატარებს დღესასწაული მიულოცა ქალაქის მერმა ბატონმა შოთა მურღულიამ.

დაწყებითი კათედრის ინიციატივით დაგეგმილია დედაენის დღისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა გრანდიოზული კონკურსი მხატვრულ კითხვასა (I-V კლასებში) და კალიგრაფიაში (I-III კლასებში), რომლის პირველი ტური უკვე ჩატარდა.

ხელოვნების მასწავლებლებთან ერთობლივი მუშაობით ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების პერიოდული გამოფენა. უკვე რამდენიმე წელია სკოლის ეზოში ტრადიციულად ტარდება სახალისო ღონისძიება „ასფალტზე ხატვა", რომელიც უკავშირდება პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის დღეს.

სკოლაში ეფექტურად მუშაობს დღის გახანგრძლივებული ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული არიან პირველი კლასის მოსწავლეები. მასწავლებლები ესმა ღვინიანიძე და ლილე ქავთარაძე დაუღალავად მუშაობენ პატარებთან, უღრმავებენ ცოდნას სასწავლო საგნებში. პედაგოგების მზრუნველობითა და მეცადინეობით კმაყოფილი არიან როგორც მოსწავლეები, ასევე მშობლები.

დაწყებითი კლასების მოსწავლეთა დიდი ნაწილი გაერთიანებულია ფორტეპიანოს წრეში (მასწავლებელი მ. სამარგულიანი), კალათბურთის სექციაში — ხელმძღვანელი ქ. ქუთაისის მოზარდთა ნაკრების მწვრთნელი გიორგი პირტახია, ისინი მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ღონისძიებაში და წარმატებასაც აღწევენ.

სკოლაში ფუნქციონირებს ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იალთი" (ქორეოგრაფი დავით ჭუმბურიძე), მათ მრავალჯერ გვასახელეს — არიან რამდენიმე გზის ოქროს მედლების მფლობელები.

ხალხური ცეკვის მე-3 რესპუბლიკურ ფესტივალზე „გურიის გაზაფხული", გახდნენ ლაურეატები და ოქროს მედლებთან ერთად დაჯილდოვდნენ დავით ჯავრიშვილის სახელობის პრიზითა და დიპლომით. ქალაქ თბილისში გამართულ ფესტივალზე „ბრავო ომარ" მოიპოვეს ვერცხლის მედლები და ომარ მხეიძის პრიზი.

დაწყებითი სწავლების მოსწავლეებთან მუშაობა ადვილი საქმე არ არის. ყოველწამიერად მათ გვერდით უნდა ედგეთ პედაგოგი, რასაც ჩვენი მასწავლებლები კარგად ართმევენ თავს.

მოსწავლეებთან სწავლა-აღზრდის საქმეს კვალიფიციურად და მონდომებით ემსახურებიან პედაგოგები: ნინო გამყრელიძე, ხათუნა ყვავაძე, თეა ხურციძე, ნინო ბედიაშვილი, ინგა შველიძე, მარიკა ყურაშვილი, მარიკა დათუაშვილი, ნანა კიკვიძე, ნინო ღურჭუმელიძე, ნარგიზა ჭეიშვილი, მაკა მარგველაშვილი, თეა კურდღელია, ირინა კოპალიანი, ნანა ლაშხია, და მრავალი სხვა.

ზემო აღნიშნული გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ დაწყებით კლასებში სწავლა-აღზრდის პროცესი ეფექტურად და წარმატებულად მიმდინარეობს. ჩვენი პატარები მზად არიან იმ რთული გამოწვევებისათვის, რომელსაც შესთავაზებს მათ მომდევნო ორი საფეხური.

მერაბ გრიგოლაშვილი

ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, დაწყებითი სწავლების ხელმძღვანელი

ყვირის ჰოროსკოპი

ვერძი: სასურველია გაითვალისწინოთ მიღებული რჩევები, განსაკუთრებით იურიდიული ან საბუთებთან დაკავშირებული, შესაძლოა, შეცდომები დაუშვათ.

კურო: ეცადეთ, თავი აარიდოთ ახლობლებთან კამათს. მოუსმინეთ მშობლებს და მათი რჩევები სამომავლოდ გამოიყენეთ სასიკეთოდ.

ტყუპები: მეგობრებთან ერთად უამრავ მნიშვნელოვან პრობლემას გადაჭრით. შორიდან სასიამოვნო ცნობებს მიიღებთ. პირადი საქმეები ძალიან მალე მოგიგვარდებათ.

კირჩხიბი: სამომავლო საქმეები თამამად დაგეგმეთ. მეგობრების დახმარებით ბევრ რამეს შეძლებთ, მაგრამ ოჯახური საჭიროებისათვის ხარჯებიც არ დაახანებს.

ლომი: დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინოთ თქვენი ჯანმრთელობისადმი. მოერიდეთ დაუფიქრებელ შეპირებებს, არ აჰყვეთ თქვენს სურვილებს. უფრო მეტი ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს.

ქალწული: გარშემომყოფები შეეცდებიან, თქვენი ცხოვრება გააკონტროლონ. ყველანაირად ეცადეთ, რომ ეს არ დაუშვათ. სამსახურში მცირე პრობლემები იჩენს თავს. ეცადეთ, კოლეგების კეთილგანწყობით ისარგებლოთ.

სასწორი: წინ ბევრი სიურპრიზი გელით. სასიყვარულო ურთიერთობებში სერიოზული არჩევანის გაკეთება მოგიწევთ.

მორიელი: შეეცადეთ, იყოთ პრინციპული და დაიცვათ საკუთარი პოზიცია. ნაკლები იფიქრეთ პრობლემებზე. ნუ მოდუნდებით. არ დაგავიწყდეთ, რომ ბედი უფრო ხშრად აქტიურ ადამიანებს წყალობთ. რატომღაც სიამოვნებას მოგანიჭებთ არა მიღწეული შედეგი, არამედ რაიმე ახლის შექმნის პროცესი.

მშვილდოსანი: ყველაზე აქტუალური ფინანსური საკითხები იქნება. დიდი მონდომების შედეგად სასურველ შედეგს მიაღწევთ კარიერაში. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული ურთიერთობა შენარჩუნდება.

თხის რქა: თქვენ გარშემო მრავალი გადაუწყვეტელი საკითხი მოიყრის თავს, რამდენადაც შეძლებთ ამ ყველაფრისთვის თავის გართმევას და ფიზიკური ძალების გადანაწილებას, იმდენად მოახერხებთ არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას.

მერწყული: შეეცადეთ, მაქსიმალურად გამოიყენოთ თქვენი ფიზიკური და სულიერი ძალები სასურველი საქმისათვის. ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა გაგიუმჯობესდებათ და თვითკმაყოფილებას იგრძნობთ.

თევზები: ახალ ნაცნობებთან ურთიერთობა არ იქნება ადვილი ამოცანა თქვენთვის. ჯერ ერთი ყველა კარგის მოსურნე არ არის, მოგიწევთ მოთმენა.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. სირტაკი; 5. უნაბი; 6. ადო; 8. გაი; 9. მედეა; 11. ინდაური.
შვეულად: 1. არუბა; 2. შატ; 3. სანგარი; 4. ინდოეთი; 7. გენუა; 10. იდა.

აფხაზეთის ომში დაღუპული პატარა ბიჭის დიდი გმირობის ისტორია

„მე აუცილებლად უნდა წავიდე, დღეს ჩემი სამშობლოს ბედი წყდება და ვინც ვაჟკაცია, რასაც არ უნდა აკეთებდეს, ყველაზე წინ ქვეყნის გასაჭირი უნდა დააყენოს, დღეს არ არსებობს იქ წასვლაზე დიდი საქმე პატარა საქართველოში. შეიძლება, მე ვცდები, მაგრამ ასე მწამს და სხვაგვარად არ შემიძლია," – ეს წერილი 22 წლის წინ სამშობლოზე შეყვარებულმა „ღიმილის ბიჭმა" დედას დაუწერა.

აფხაზეთის ომის სისხლიანი დღეების დროს ის, რაც 22 წლის გოჩა წულაიამ ვერ შეძლო, მტრის ზურგს უკან დგომა და იმ ადგილისგან შორს ყოფნა იყო, სადაც მისი სამშობლოს ბედი წყდებოდა. ომში გაიპარა და მშობლებს პატიება დიდი პატრიოტიზმის გამომხატველი პატარა წერილით სთხოვა. სამშობლოს სადარაჯოზე მდგომს სნაიპერის გამიზნულმა ტყვიამ მოუსწრო. მონატრებული შვილი მშობლებს შინ სამშობლოსთვის დაღუპულ გმირად დაუბრუნდა.

სამშობლოსთვის დაღუპული გმირის დედა მანა წულაია, ოცდაორი წელია, ცხოვრებას მის მეხსიერებაში ახალგაზრდა ჭაბუკად დარჩენილი გოჩას მონატრებით აგრძელებს და ამ დიდ მწუხარებას იმის განცდით იმსუბუქებს, რომ მან ღირსეული გმირი გაუზარდა სამშობლოს. დედის მოგონებები გოჩაზე საამაყო და ცრემლნარევია.

„აფხაზეთის ომის კადრებს ტელევიზიით უყურებდა გოჩა, ბოლთას სცემდა და მუჭებს მაგიდაზე უბრახუნებდა, როცა უყურებდა, როგორ იღუპებოდნენ ქართველები და ნადგურდებოდა ჩვენი მიწა-წყალი. ამ კადრების ნახვის შემდეგ უკვე ცხადი იყო, რომ გოჩა აუცილებლად წავიდოდა ომში. სტუდენტი იყო და თბილისში სწავლობდა, სწორედ იმ დროს, როცა ის ლექციებზე გვეგულებოდა, ომში გაგვეპარა. 15 ნოემბერს დაბადების დღე ჰქონდა. ამ დღისთვის ჩამოვიდა, მეგობრებთან ერთად სტუდქალაქში დაბადების დღე გადაიხადა და მეორე დღეს კვლავ ომში წავიდა. ტელევიზიით კადრები გადიოდა, ჩვენი ჯარისკაცები „მრავალჟამიერს" მღეროდნენ. გოჩას სახეზე ხელი ჰქონდა აფარებული, რომ არ დაგვენახა, მაგრამ მე ხმით ვიცანი ჩემი შვილი. მტკივა მისი ჩვენს გვერდით არყოფნა, მაგრამ მეამყება, რომ სახელოვნად წავიდა ამ ქვეყნიდან. როცა გოჩას გარდაცვალება გავიგე, უფალს ვევედრებოდი, ჩემი შვილი ყოფილიყო უკანასკნელი დაღუპული ქვეყნისთვის. მაგრამ მას შემდეგაც ბევრი ვაჟკაცი შეეწირა სისხლიან ომს."

წავიდა და წავიდა...

გოჩა წყალტუბოს რაიონის სოფელ გუმბრინში დაიბადა. 22 წლის უნახავი შვილი მშობლების წარმოსახვაში დღესაც ღიმილიანი, კეთილი და მეგობრების მოყვარული ახალგაზრდა ჭაბუკია. ამ დიდ ტკივილს გოჩასგან დატოვებული ის საამაყო წარსული უმსუბუქებთ, რაც ერთეულების ხვედრია მხოლოდ.

საკუთარ შვილზე წარსულში საუბარი უჭირს მამას და ამბობს, რომ გოჩა მისთვის იქამდე იცოცხლებს, სანამ მეგობრები გაიხსენებენ.

ბორის წულაია, გოჩას მამა: „გოჩას ჩემს მიმართ საოცარი რიდი ჰქონდა. მოკრძალებული იყო და პატივს სცემდა ჩემს აზრს. მე, როგორც მშობელი, მისი ომში წასვლის მომხრე არ ვიყავი. ეს აღმოჩნდა სწორედ ის საკითხი, სადაც გოჩა ჩემი სიტყვის წინააღმდეგ წავიდა და სამშობლოს სამსახური მშობლების სურვილზე წინ დააყენა, შეეწირა კიდეც თავის ქვეყანას. წავიდა ჩვენგან, მაგრამ დარჩა ჩვენთვის როგორც სასახელო შვილი. მიჭირს მასზე წარსულში საუბარი. დავამატებ მხოლოდ დიდ სამადლობელ სიტყვას გოჩას მეგობრების მისამართით, რომლებსაც ის დღემდე ისევ უყვართ და ახსოვთ, როგორც ჭაბუკობის დროს."

კეთილი, გულისხმიერი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, კარგი შვილი და საუკეთესო მეგობარი – ასე იხსენებს გოჩა წულაიას მისი ერთ-ერთი გამორჩეული მეგობარი შალვა კირთაძე (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე). ამბობს, რომ გოჩა მეგობრებს მხოლოდ ფიზიკურად გამოაკლდა, სულიერად და შეგრძნებით კი მუდამ მათ გვერდითაა, ამიტომაც ყოველწლიურად ქართული სუფრითა და სადღეგრძელოებით ისევ ისე აღნიშნავენ მის დაბადების დღეს, როგორც 22 წლის წინ. ფაქტია, რომ ეს ძლიერი და გამორჩეული მეგობრობის შედეგია მხოლოდ, თავად გოჩას მეგობარი კი ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს.

„გოჩა თავად იყო განსაკუთრებული და გამორჩეული, ამიტომ ის, რომ ჩვენ ის 22 წლის შემდეგაც ისევე გვიყვარს და გვახსოვს, როგორც სტუდენტობის დროს, ეს ბუნებრივია. გოჩა ახსოვთ საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთ, რადგან მისი სტუდენტობის მეგობრები მთელს საქართველოში არიან მოფენილნი და გოჩას დაბადების დღეზე არამარტო ქუთაისიდან, სხვადასხვა ქალაქებიდანაც ჩამოდიან."

როგორც მშობლები ამბობენ, გოჩა იქამდე იცოცხლებს, სანამ ის მეგობრებს ემახსოვრებათ, მაშინ გამოდის, რომ ის არც არასდროს მომკვდარა, რადგან 22 წლის შემდეგაც მეგობრების განუყრელი ნაწილია. მის სახელს და გვარს კი მისი ძმაშვილი, უმცროსი გოჩა წულაია აგრძელებს, რომელიც ღვთიური სასწაულით ოჯახში ერთი წლის თავზე სწორედ იმ დღეს შემოვიდა, რა დღესაც გოჩამ სახლი დატოვა. მშობლები შვილიშვილში გოჩას ფიზიკურ და თვისობრივ მსგავსებას ხედავენ და ცდილობენ, ამით დიდი სიცარიელე შეივსონ.

უკვე 22 წელია, გოჩას დედა ოცნებობს, მიეცეს საშუალება იმ ადგილას ჩავიდეს, სადაც მისმა შვილმა სული დალია, უნდა, მას იქ დაუნთოს სანთელი. „ღიმილის ბიჭის" დედას ღრმად სწამს, რომ ყოველი გასული წელი მას ნანატრი ოცნების ახდენასთან აახლოვებს.

ეკა შალამბერიძე



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

განათლების მინისტრი **თამარ სანიკიძე** **სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო

რას დაარქმევდით?

კახი კალაძე

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

აკაკი ბობოხიძე

ბევრჯერა გვახსოვს, აკაკი, შენი მუშტების ქნევაო...

დოდო ჭიქაბერიძე

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 3. რელიგიის უარმყოფელი მეცნიერება; 5. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 6. დაბა აჭარაში; 8. თევზის ძვალი; 9. სანიავებელი; 11. არსენა ოძელაშვილის სოფელი.
ვერტიკალურად: 1. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 2. ბუვეს რომანი; 3. ამერიკელი ფიზიკოსი ალბერტ ... მაიკელსონი; 4. აშშ-ს შტატი; 7. ცნობილი ამერიკული თოჯინა; 10. მარსის თანამგზავრთა რაოდენობა.

წიგნების მაღაზია ქიმერიონი

qimerioni.ge

ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:

- ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
- კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
- მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
- სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
- ენციკლოპედიები;
- ლექსიკონები;
- ჟურნალ-გაზეთები

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ფუდმარტი", წიგნების მაღაზია „ქიმერიონი".
ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474

პრესკონფერენციები, ბრიფინგები, პრეზენტაციები

PSPRESS-კლუბი

ქუთაისი, რუსთაველის 37ა. (0 431) 24 45 46; 599 10 77 94

ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ!

სამოქალაქო კამპანია უკანონო მიყურადების წინააღმდეგ

ეს შენ გეხება
ისევ გვისმენენ

www.esshengexeba.ge; www.facebook. com/esshengexeba

იმერი

IMERI TEXTILE COMPANY

სამკერვალო კომპანია

სამკერვალო კომპანია **„იმერში"** მზადდება ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის ფართო ასორტიმენტი:

- პიჯაკი
- ქვედა კაბა
- შარვალი
- პერანგი | მაისური | შორტი
- პალტო | ნახევარპალტო | ქურთუკი | ლაბადა | ჟილეტი
- სამხედრო უნიფორმა
- სასკოლო უნიფორმა
- სხვადასხვა ტიპის სამუშაო ტანსაცმელი

კომპანია **„იმერი"** წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს ცნობილ ქართველ დიზაინერ **ავთანდილ ცქვიტინიძესთან**.

მისამართი: ქ. ქუთაისი, ლადო ასათიანის №119;

ტელეფონი: +995 431 22 07 08
ელ.ფოსტა: office@imeri.ge
ვებ-გვერდი: www.imeri.ge

მოდის სახლი „მარიონელა"

ექსკლუზიური სადედოფლო და საღამოს კაბები

თბილისი, მ. ჯავახიშვილის (ყოფილი ელბაქიძის დაღმართი) №12
ტელ.: +995 (432) 292-05-04

ქუთაისი, ა. პუშკინის ქუჩა №1
ტელ.: +995 (431) 25-31-21

ელ-ფოსტა: marionela@mail.ru

www.marionela.ge

აია

ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომპანია

ლიმონათი „აია" – ნატურალურ ნაყენსა და შაქარზე დამზადებული 11 სახეობის ლიმონათი:
„მსხალი", „ლიმონი", „ტარხუნა", „ფორთოხალი", „ატამი", „დაფნა", „ალუბალი", „ნაღები", „საფერავი", „მარწყვი", „შოკოლადი".

„აიას" ლიმონათი მზადდება თავად ქარხანაში დამუშავებული ცოცხალი ხილის ნაყენისაგან.

ლუდი „აია" – უმაღლესი ხარისხის ალაოსა და უნიკალური წყაროს წყლისაგან დამზადებული ქუთაისური ლუდი.
ხარშვის პროცესს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. მზადდება უახლესი ტექნოლოგიით.

მიირთვით „აიას" პროდუქცია! იგი აბსოლუტურად უსაფრთხოა!

მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №8
ტელეფონი: (0 431) 22 01 94; 22 30 31; 22 40 05

ცხვირის ქირურგიული ცენტრი

თემურ ძიძიგური — ცხვირის და ყურის ქირურგი

კეთდება ოპერაციები:

1. გრძელ, კეხიან, ჩამოშვებულ, განიერნესტოიან, გაღუნულ ცხვირზე.
2. ცხვირის ძგიდეზე, ცხვირის ნიჟარებზე და პოლიპებზე.
3. დიდი ზომის და გადმოწეულ ყურის ნიჟარებზე.
4. მკურნალობენ ცხვირიდან სუნთქვის გაძნელებას.

მისამართი: ქუთაისი, სულხან-საბას ქ. №81 (ავანგარდის დასახლების ბოლოს)

ტელეფონი: (0 431) 22-31-02; **მობ.**: (599) 53-69-64; (599) 14-08-13; ბინის (0 431) 24-57-63.

სამშენებლო კომპანია ტობე

ბეტონისა და რკინა-ბეტონის ქარხანა **„ტობე" აწარმოებს:**

მაღალი სიმტკიცის, სერთიფიცირებულ მ-150; მ-200; მ-250; მ-300; მ-400 მარკის სასაქონლო ბეტონს; შემოღობვის ფილებს, საკედლე პანელებს, საძირკვლის, ზეძირკვლის, სარტყლის, საკედლე, წვრილსაკედლე, ტიხრის ბლოკებს.

ზღუდარებს, რიგელებს, კოლონებს, საკანალიზაციო ჭებს.
ყველა სახის, წინასწარ დაუძაბავ კონსტრუქციებს.
შეკვეთები სრულდება დროულად და ხარისხიანად, დამკვეთთან შეთანხმებით.

მისამართი: ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №4

ტელეფონი: (0 431) 23-60-60; 26-74-37

მობილური: (5 77) 78-06-70; (5 71) 55-55-01

ქუთაისის ხის გადამამუშავებელი ქარხანა

კავკასუს როუდ პროჯექტ

სიახლე!
სააგარაკე მობილური სახლი (63 მ²):
მისაღები – 21,2 მ²
საძინებელი – 9,4 მ²
საძინებელი – 12 მ²
სამზარეულო – 4,65 მ²
სანკვანძი – 2,3 მ²
ღია აივანი – 8,96 მ²

ფასი: 1 მ² – 750 ლარი (ტრანსპორტირების ჩათვლით).

მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №21
ტელეფონი: (0 431) 23 43 34; 23 64 02; 599 22 88 27